ბერლინის აღდგომის საკათედრო ტაძარში მოსალოცად მიაბრძანეს კურსკი-კორენის ღვთისმშობლის ხატი „ნიშანი“

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.07.2025. 2025 წლის 20 ივლისს, სულთმოფენობიდან მე-6 კვირიაკეს, მოსკოვის მთავრინა ღირსი ეფროსინეს ხსენების დღეს, ბერლინ-გერმანიის ეპარქიის მმართველმა, რუზის მთავარეპისკოპოსმა ტიხონმა ქ. ბერლინის აღდგომის საკათედრო ტაძარში საღვთო ლიტურგია აღავლინა.

ღვთისმსახურების დაწყებამდე ტაძარში დაბრძანებულ იქნა კურსკი-კორენის ღვთისმშობლის ხატი

„ნიშანი“ – რუსეთის საზღვარგარეთის ისტორიული სიწმინდე, რომელიც მუდმივად დაცულია ნიუ-იორკში (აშშ) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ზნამენიეს (ნიშანის) სინოდალურ საკათედრო ტაძარში. **ეპარქიის საიტის** ცნობით, მთავარეპისკოპოსმა ტიხონმა სასულიერო პირებსა და მრევლს მოკლე სიტყვით მიმართა ქრისტიანისთვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თაყვანისცემის მნიშვნელობის შესახებ.

ლიტურგიაზე იერარქს თანამსახურებდნენ მღვდელი მაქსიმე იუდაკოვი და პროტოდიაკონი არჩილ ჩხიკვაძე. საკურთხეველში ლოცულობდა დეკანოზი ანდრია სიკოევი, რომელმაც წმინდა ხატი ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტ მარკოზის (რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესია) ლოცვა-კურთხევით თაყვანსაცემად ტაძარში მიაბრძანა.

მრჩობლ კვერექსზე გაიჟღერა სამშვიდობო ვედრებამ და ლოცვამ.

ღვთისმსახურების განტევებისას აღსრულდა სადიდებელი კურსკი-კორენის ღვთისმშობლის ხატის წინაშე. სამღვდელოებამ და მრევლმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ადიდეს გალობებით „დედუფალო ჩემო ყოვლადსახიერო“ და „წინაშე წმიდისა ხატისა შენისასა, დედუფალო“. რის შემდეგაც ყველას შეეძლო ხატზე მთხვევა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93422/